საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი კომპლექსის პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №13.
პროექტის ავტორი – გ. ხმალაძე.

ინსპექტორი – არქიტექტორი – ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

განმარტებითი ბარათი:

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სპორტულ-გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი კომპლექსის დაგეგმარება თანამედროვე პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო ტერიტორია პირობითად მოქცეულია საავტომობილო მაგისტრალსა და დასახლებულ ტერიტორიას შორის (ქალაქი თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, 13), რომლის ფართობი შეადგენს 0.7174 ჰექტარს (7174,2 მ2). ტერიტორიის სამხრეთით მდებარე ბახტრიონის ქუჩა, ''საავტომობილო მოედნით'' , უკავშირდება ტერიტორიის დასავლეთით მდებარე ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილს პარკ იპოდრომის გასწვრივ.
არსებული ქუჩა და გზატკეცილი აღჭურვილია ფართო ტროტუარით, რაც უზრუნველყოფს სპორტული კომპლექსისკენ მიმავალ უსაფრთხო და კომფორტულ გზას.

დასავლეთით მდებარე გზატკეცილის მხრიდან განთავსებულია ტერიტორაზე მთავარი შესასვლელი არეალი, შესასვლელების წინ მიწის ნაკვეთის ფარგლებში მოწყობილი ტერასითა და დასასხდომი სივრცეებით. ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს მიწისქვეშა პარკინგზე ჩასასვლელი საავტომობილო გზა, რომელიც ტერიტორიაზე შემოდის ნაკვეთის დასავლეთით არსებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილის მხრიდან, რაც მოძრაობის შეუფერხებლად უზრუნველყოფს ავტომობილების უსაფრთხოდ გაჩერებას მიწისქვეშა ავტოსადგომზე.

აღმოსავლეთის მხრიდან განთავსებულია დამატებითი შესასვლელები ტერიტორიაზე, რომელიც უკავშირდება სპორტული კომპლექსის შიდა სავარჯიშო დარბაზს, სპორტულ მაღაზიასა და კვების ობიექტს.

სპორტული კომლექსის ყველა შემოსასვლელი ერთმანეთთან დაკავშირებულია შენობის გარშემო არსებული ტერასითა და ''სპორტული'' სათამაშო მოედნით. სპორტული სათამაშო მოედანი აღმოსავლეთის და დასავლეთით მდებარე

ბახტრიონის ქუჩის კვეთების მხრიდან აერთიანებს ორი ღია და ერთი დახურული ტენისის კორტს, ხოლო ტერიტორიის დარჩენილი ნაწილი, გარდა ტერასის დასასხდომი სივრცეებისა, მაქსიმალურად არის ათვისებული მწვანე საფარით.
ასევე, შენობასა და მიწის ნაკვეთს შორის, შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესების მიხედვით, უზრუნველყოფილია უსაფრთხო ადგილები თითოეული დამკავებლისთვის.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

სპორტული კომპლექსი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მოიცავს საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ღია და დახურულ სივრცეებს, ხოლო მეორე, სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ შიდა საოფისე ფართებს.

ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა წვდომა შესაძლებელია სამხრეთით არსებული ბახტრიონის ქუჩიდან და დასავლეთით არსებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილის მხრიდან. ამავე გზატკეცილიდან ნაკვეთზე შემოდის გზა, რომელიც უკავშირდება შენობის მიწისქვეშა სართულს. მიწისქვეშა სართულზე განთავსებული ავტოსადგომი გათვლილია (90) საპარკინგე ადგილი და სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი სავარჯიშო დარბაზი.

საზოგადოებრივი სივრცეები განაწილებულია ხუთ განსხვავებულ სართულზე,მათ შორის ზემოთ აღნიშნულ მიწისქვეშა სართულზე, რაც მოიცავს ღია და დახურულ კორტებს,ტერასებს, სავარჯიშო დარბაზებს, კვების ობიექტებს, მაღაზიებსა და საცურაო აუზს, დამატებითი სივრცეებით.

ვერტიკალური ცირკულაციის ზონები შენობაში, განთავსებულია ოთხ განსხვავებულ ადგილას, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერ სივრცესთან წვდომის შესაძლებლობას.
ღია და დახურული კორტებისთვის,რომელიც განთავსებულია მიწისპირა სართულზე(0,00 ნიშნულზე), ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს განცალკევებით დგას ერთსართულიანი ნაგებობა ტექნიკური და გასახდელი ოთახებისთვის. ამავე დონეზე, შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სავარჯიშო დარბაზი, სპორტული მაღაზია,სილამაზის სალონი , ღვინის მაღაზია,

კვების ობიექტები, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდებიან გარე სივრცეში მოწყობილ დასასხდომ სივრცეს- ტერას.
შენობის მეორე ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საოფისე ფართებისთვის, ცალკეულად იკავებს ერთ მთლიან 1 სართულს,სადაც ტექნიკური ბასეინის ქვედა სივრცეა გამოყენებული.
საოფისე ფართების ზედა დონეზე - შენობის 2 სართულზე, განთავსებულია 50 მეტრიანი საცურაო აუზი, გასახდელები, სპორტული მაღაზია, კაფე და ღია ტერასა, სადაც ბევრნაირი აქტივობები გაიმართება.

მესამე სართული განკუთვნილია გამაჯანსაღებელი აქტივობებისთვის, რაც მოიცავს მოსასვენებელ ოთახს, გასართობ ზონას, სავარჯიშო დარბაზსა და საუნისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

მეოთხე სართული ნაწილობრივ დაკავებულია ტექნიკური ოთახებით, ხოლო დარჩებილ საზოგადოებრივ სივრცში განთავსებულია ‘’რესტორანი’’.

შენობის სახურავი, რომელზე წვდომაც შესაძლებელია კიბის საშუალებით, არის ექსპლუატირებული ტერასა, სადაც ღია ბარია განთავსებული. ამ სივრციდან შენობას ეშლება ქალაქის ხედი ნებისმიერი მიმართულებით.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

ასაშენებელი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით; შენობა ეფუძნება დგარი ხიმინჯების გამოყენებით ძიითად ქანს. ხიმინჯები ერთმანეთთან დაკავშირებული ფილა-როსტვერკით. შენობის საძირკვლისზედა მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს სხვადასხვა სისქისა და განივკვეთის ზომების რკიბანეტონის სვეტები, დიაფრაგმები, რიგელები, სართულშუა გადახურვები. შენობის სახურავი ელიფსური ფორმისაა და მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენს ლითონის ფერმები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთიან სივცულ სტრუქტურას.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შენობისა და მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების N41, ტექნიკური რეგლამენტი ''შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები''.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართი ------- 7174.2 კვ.მ
საერთო ფართი ------- 21324.14 კვ.მ

ძირითადი ნაწილი

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.
12) ლიფტების შეფასება;
13) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება.

1) დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი კომპლექსი 5 მიწის დონის ზედა და 1 მიწის დონის ქვედა სართულით.

პროექტში გამოყენებულია **თავშეყრის**, **საქმიანი**, **სავაჭრო**, **სასაწყობო** და **დამხმარე** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **303**, **304**, **309**, **311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე (**-4.50** ნიშნული) განთავსებულია: შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, **311.3 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **2559.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=138**.

ავტომობილის სამრეცხაო, **304.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **185.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=20**.

სავარჯიშო დარბაზი (მასთან დაკავშირებული გასახდელებით), **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1787.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **4.7** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=381**.

სათავსო, **311.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **36.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

ტექნიკური ოთახი, სახანძრო წყლის რეზერვუარი და სატუმბო სადგური, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **143.7 მ²**, დაკავებულობის

დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6**.

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნ.) განთავსებულია:

კვების ობიექტი, **303.3 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **თავშეყრის (თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1201.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებით **1.4** და **18.6** (სამზარეულოსთვის) საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=740**.

სავარჯიშო დარბაზი (მასთან დაკავშირებული გასახდელებით), **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **294.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **4.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=63**.

სილამაზის სალონი, **304.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **64.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=7**.

სპორტული და ღვინის მაღაზიები, **309.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **299.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=108**.

მეორე სართულზე (**+6.60** ნიშნ.) განთავსებულია:

საოფისე სივრცე, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებული, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **2106.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=229**.

ტექნიკური ოთახი, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **950.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=35**.

მესამე სართულზე (+12.90 ნიშნ.) განთავსებულია:

ბასეინის სივრცე გასახდელებით, **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირდებული, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1280.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **4.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=273**.

სპორტული მაღაზია, **309.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **12.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **5.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**.

კაფე, **303.3 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **თავშეყრის (თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით კაფე **70.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=51**..

მეოთხე სართულზე (+16.30 ნიშნ.) განთავსებულია:

სავარჯიშო დარბაზი, საუნა, მოსასვენებელი ოთახები და გასართობი ზონა, **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირდებული, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **437.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებით **4.7** და **2.7** (გასართობი ზონისთვის) საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=123**.

სათავსოები, **311.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **33.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**.

მეხუთე სართულზე (+19.85 ნიშნ.) განთავსებულია:

კაფე და სამზარეულო, **303.3 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებული, როგორც **თავშეყრის (თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **201.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და **18.6**, საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=113.**

სათავსოები, **311.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **158.3 მ²**,

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4**.

<u>ტექნიკური ოთახი</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **158.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **29.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6**.

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი – 11030.1 მ².** დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი – **დდ=2303.**

სართულებზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

<u>დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხის, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობისთვის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილია **3 საათი**, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა **400x400 მმ**).

601 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილია **1 საათი**, ხოლო საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **1**-საათს უდრის, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

601 ცხრილში I- A ტიპის კონსტრუქციისთვის იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები მოთხოვნილია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის, ხოლო პროექტის მიხედვით, წარმოდგენილია **2**-საათიანი (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა).

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **601 ცხრილით** მოთხოვნილია **1,5**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის, ხოლო პროექტის მიხედვით, წარმოდგენილია **2-საათიანი** (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რაც აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I - A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის განსაზღვრულია **შეუზღუდავი** სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი: ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **1**, სიმაღლე – **4.50 მ** და ფართობი – **2559.0 მ²**;

თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **4**, სიმაღლე – **20.80 მ** და ფართობი – **3799.8 მ²**;

თავშეყრის (თვ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **3**, სიმაღლე – **13.55 მ** და ფართობი – **1473.4 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **3**, სიმაღლე – **17.40 მ** და ფართობი – **2357.4 მ²**;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **2**, სიმაღლე – **10.0 მ** და ფართობი – **312.7 მ²**;

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **4**, სიმაღლე – **19.10 მ** და ფართობი – **225.5 მ²**;

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **3**, სიმაღლე – **9.45 მ** და ფართობი – **302.3 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **5**-სართულიანია, მიწის ზემოთ, სიმაღლით – **23.0 მ**, მიწის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **+19.85 მ** და საერთო ფართობით – **21324.1 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო შენობაში მოწყობილია სამი შემოზღუდული გზა-კიბე, რომელთაგან ორი აკავშირებს ყველა სართულს, ხოლო ერთი ადის +16.30 ნიშნულამდე.

შენობაში, ასევე, მოწყობილია სამი ლიფტი, რომელიც ემსახურება შენობის ყველა სართულს და აკმაყოფილებს **მე-17 თავის** მოთხოვნებს.

მიწის დონის ქვედა (-1) სართული წარმოდგენილია სამი გასასვლელის გზა-კიბით, რომლებსაც მოწყობილი აქვს ტამბურები.

პირველ სართულს (0.00 ნიშნ.) აქვს 3 მთავარი გასასვლელის გზა-კარი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია 1-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე გზა-დერეფნით და 14 გასასვლელის გზა-კარი, რომლებიც გადის პირდაპირ შენობის გარეთ სართულზე განთავსებული **თვ-2**, **თვ-3**, **სქ** და **სვ** ჯგუფის დაკავებულობებიდან.

მეორე და **მეოთხე სართულები** წარმოდგენილია სამი გასასვლელის გზა-კიბით, **მეხუთე სართული** – ორი გასასვლელის გზა-კიბით, რომლებიც პირველი სართულიდან გასასვლელის გზა-კარებით უზრუნველყოფს შენობიდან გასვლას.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემით</u>, **თვ**, **სვ** და **სწ-1** ჯგუფებისთვის დაშვებულია **75** მეტრი, **სქ** ჯგუფისთვის – **90** მეტრი, **სწ-2** ჯგუფისთვის – **120** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:
თავშეყრის (თვ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **46** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **70** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **88** მეტრი;
სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **56** მეტრი;
სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **72** მეტრი.

შენობიდან გამოსასვლელები მდებარეობს პირველი სართულის იატაკის დონეზე მოწყობილ ბაქნებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობა სამსართულიანია და მოწყობილი აქვს რვა შიგა გზა-კიბე, **1009 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე (1.1 მ) განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინიმალური **1.2** მეტრი სიგანის გზა-კიბეები, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **29** სმ-ია, შვეული სიბრტყისა კი – **18** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმის (1 სთ) ტოლი, 1 საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (**1.8 მ**) მეტი, **1.2 მ** სიგანის დერეფნები, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე (**0.82** მ) განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარების მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს.

გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მისაწვდომობას.

საპროექტო შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ყველა მოთხოვნას (დეტალურად იხ. საექსპერტო დასკვნა ტექნიკური რეგლამენტთან – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“).

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით) განსაზღვრულ მინიმუმს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის თანახმად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, <u>დაუცველი, საშხეფებით</u>, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>**1 – 9 ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **1.7** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **25 %**, ხოლო წარმოდგენილია **20 %**.

<u>**9 – 1 ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **12.7** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **85 %**.

<u>**ა – ლ ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **22.0** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **85 %**.

<u>**ლ – ა ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **24.0** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **85 %**.

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.

სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ (1,5-საათიან) ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობა წარმოადგენს სამსართულიან კარკასულ ნაგებობას, შერეული დაკავებულობებით, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით (**ცხრილი 508.4**) და **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს წესების **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელის გზა-დერეფნის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათია, რაც შეესაბამება **1023.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ლიფტის შახტა და სავენტილაციო შახტები შემოზღუდულია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს წესების **707** და **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.2 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების მოწყობა გათვალისწინებულია კიბის უჯრედებთან დერეფნებში.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია შენობის დერეფნებში.

907 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა არ საჭიროებს საავარიო განგაშის სისტემებით აღჭურვას.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემებით.

912.2 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალისწინებულია 2 სახანძრო ჰიდრანტის დაყენება

საპროექტო შენობის მიწის დონის ქვედა სართულზე გათვალისწინებულია სახანძრო წყლის რეზერვუარისა და სატუმბო სადგურის მოწყობა, რომელიც შენობის ყველა სხვა ფართობისაგან გამიჯნულია **2**-საათიანი თარაზული ანაწყობით, **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად.

1006 ქვეთავის შესაბამისად, შენობის საევაკუაციო გზებზე (დერეფნებში და გზა-კიბეებზე გასასვლელებში) გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია საპროექტო შენობის **თვ-3**, **თვ-2**, **სქ**, **სვ**, **სწ-1** და **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე (-4.50 ნიშნ.)

თვ-3, სქ, სწ ჯგუფის დაკავებულობებისთვის:

- 6 უნიტაზი, 6 ხელსაბანი, 28 შხაპი;
- 3 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>პირველ სართულზე</u>

თვ-2, თვ-3, სქ, სვ ჯგუფის დაკავებულობებისთვის:

- 22 უნიტაზი, 24 ხელსაბანი, 8 შხაპი;
- 8 სამზარეულოს ნიჟარა;
- 4 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>მეორე სართულზე</u>

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის:

- 18 უნიტაზი და 18 ხელსაბანი;
- 6 სამომსახურეო ნიჟარა;
- 3 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>მესამე სართულზე</u>

თვ-2, თვ-3, სვ ჯგუფის დაკავებულობებისთვის:

- 9 უნიტაზი, 9 ხელსაბანი, 28 შხაპი;
- 4 სამომსახურეო ნიჟარა;
- 3 სასმელი წყლის დისპენსერი.

მეოთხე სართულზე

თვ-3, სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის:

- 2 უნიტაზი, 2 ხელსაბანი, 4 შხაპი;
- 2 სასმელი წყლის დისპენსერი.

მეხუთე სართულზე

თვ-2, სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის:

- 4 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;
- 2 სასმელი წყლის დისპენსერი.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12) ლიფტების შეფასება.

საპროექტო შენობაში მოწყობილია წესების მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული სამი ლიფტი. ლიფტები აკმაყოფილებს **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნას, რომელიც ეხება ლიფტის კაბინაში საკაცის შეტანის შესაძლებობას და ემსახურება ყველა სართულს.

ლიფტის შახტის ზომებია 2.25 მ x 3.44 მ, ხოლო კაბინის – 1.40 მ x 2.40 მ. ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა **909.21 ქვეთავის** შესაბამისად.

ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

13) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება

-4.50 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის ავტოსადგომთან მისადგომი წარმოდგენილია **6.0** მეტრი სიგანის, **18%–10%-**იანი დახრების მქონე საავტომობილო პანდუსით, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.1** და **406.9.4.7 ქვეთავების** მოთხოვნებს.

ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება **3.5** მეტრი სიგანის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, დასაშვებია და წარმოდგენილია **3.5** მეტრი, **406.9.4.2 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის ზომები, მინიმალური სიგანე **2.5** მეტრი და სიგრძე **5.5** მეტრი, შეესაბამება **406.9.3.1** და **406.9.3.2 ქვეთავების** მოთხოვნებს. თითოეულ ადგილს, გასავლელის მეშვეობით, აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომი, მისასვლელი და გამოსასვლელი, **406.9.4.5 ქვეთავის** შესაბამისად.

ავტოსადგომის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და სამუშაო ნახაზები განსახილველად უნდა წარედგინოს სისტემის დაყენებამდე.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი კომპლექსის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე

22.06.2022 წ.







დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შვილს ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ს.ს.ფედერაციის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
ამავე ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქ თბილისი 1987 წ. „28“ X
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский гп.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „28“ X 1987 г.
Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი"-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი". **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2021 წ - დან ტექნიკური რეგლამენტი **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი"**-სთან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი

საექსპერტო დასკვნა

ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შეფასებას ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" – მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №732).

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №13.
პროექტის ავტორი – გ. ხმალაძე.

ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია პირობითად მოქცეულია საავტომობილო მაგისტრალსა და დასახლებულ ტერიტორიას შორის (ქალაქი თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, #13), რომლის ფართობი შეადგენს 0.7174 ჰექტარს (7174,2 მ2). ტერიტორიის სამხრეთით მდებარე ბახტრიონის ქუჩა, ‘’საავტომობილო მოედნით’’, უკავშირდება ტერიტორიის დასავლეთით მდებარე ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილს პარკ იპოდრომის გასწვრივ. არსებული ქუჩა და გზატკეცილი აღჭურვილია ფართო ტროტუარით, რაც უზრუნველყოფს სპორტული კომპლექსისკენ მიმავალ უსაფრთხო და კომფორტულ გზას.

დასავლეთით მდებარე გზატკეცილის მხრიდან განთავსებულია ტერიტორაზე მთავარი შესასვლელი არეალი, შესასვლელების წინ მიწის ნაკვეთის ფარგლებში მოწყობილი ტერასითა და დასასხდომი სივრცეებით. ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს მიწისქვეშა პარკინგზე ჩასასვლელი საავტომობილო გზა, რომელიც ტერიტორიაზე შემოდის ნაკვეთის დასავლეთით არსებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილის მხრიდან, რაც მოძრაობის შეუფერხებლად უზრუნველყოფს ავტომობილების უსაფრთხოდ გაჩერებას მიწისქვეშა ავტოსადგომზე. აღმოსავლეთის მხრიდან განთავსებულია დამატებითი შესასვლელები ტერიტორიაზე, რომელიც უკავშირდება სპორტული კომპლექსის შიდა სავარჯიშო დარბაზს, სპორტულ მაღაზიასა და კვების ობიექტს.

სპორტული კომლექსის ყველა შემოსასვლელი ერთმანეთთან დაკავშირებულია შენობის გარშემო არსებული ტერასითა და ‘’სპორტული’’ სათამაშო მოედნით. სპორტული სათამაშო მოედანი აღმოსავლეთის და დასავლეთით მდებარე ბახტრიონის ქუჩის კვეთების მხრიდან აერთიანებს ორი ღია და ერთი დახურული ტენისის კორტს, ხოლო ტერიტორიის დარჩენილი ნაწილი, გარდა ტერასის დასასხდომი სივრცეებისა, მაქსიმალურად არის ათვისებული მწვანე საფარით.
ასევე, შენობასა და მიწის ნაკვეთს შორის, შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესების მიხედვით, უზრუნველყოფილია უსაფრთხო ადგილები თითოეული დამკავებლისთვის.

სპორტული კომპლექსი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მოიცავს საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ღია და დახურულ სივრცეებს, ხოლო მეორე, სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ შიდა საოფისე ფართებს.

ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა წვდომა შესაძლებელია სამხრეთით არსებული ბახტრიონის ქუჩიდან და დასავლეთით არსებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზატკეცილის მხრიდან. ამავე გზატკეცილიდან ნაკვეთზე შემოდის გზა, რომელიც უკავშირდება შენობის მიწისქვეშა სართულს. მიწისქვეშა სართულზე განთავსებული ავტოსადგომი გათვლილია (90) საპარკინგე ადგილი და სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი სავარჯიშო დარბაზი.

საზოგადოებრივი სივრცეები განაწილებულია ხუთ განსხვავებულ სართულზე, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ მიწისქვეშა სართულზე, რაც მოიცავს ღია და დახურულ კორტებს,ტერასებს, სავარჯიშო დარბაზებს, კვების ობიექტებს, მაღაზიებსა და საცურაო აუზს, დამატებითი სივრცეებით.

ვერტიკალური ცირკულაციის ზონები შენობაში, განთავსებულია ოთხ განსხვავებულ ადგილას, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერ სივრცესთან წვდომის შესაძლებლობას.

ღია და დახურული კორტებისთვის, რომელიც განთავსებულია მიწისპირა სართულზე (0,00 ნიშნულზე), ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს

განცალკევებით დგას ერთსართულიანი ნაგებობა ტექნიკური და გასახდელი ოთახებისთვის. ამავე დონეზე, შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სავარჯიშო დარბაზი, სპორტული მაღაზია, სილამაზის სალონი, ღვინის მაღაზია, კვების ობიექტები, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდებიან გარე სივრცეში მოწყობილ დასასხდომ სივრცეს-ტერასას.

შენობის მეორე ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საოფისე ფართებისთვის, ცალკეულად იკავებს ერთ მთლიან 1 სართულს, სადაც ტექნიკური ბასეინის ქვედა სივრცეა გამოყენებული.
საოფისე ფართების ზედა დონეზე - შენობის 2 სართულზე, განთავსებულია 50 მეტრიანი საცურაო აუზი, გასახდელები, სპორტული მაღაზია, კაფე და ღია ტერასა, სადაც ბევრნაირი აქტივობები გაიმართება.

მესამე სართული განკუთვნილია გამაჯანსაღებელი აქტივობებისთვის, რაც მოიცავს მოსასვენებელ ოთახს, გასართობ ზონას, სავარჯიშო დარბაზსა და საუნისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

მეოთხე სართული ნაწილობრივ დაკავებულია ტექნიკური ოთახებით, ხოლო დარჩენილ საზოგადოებრივ სივრცეში განთავსებულია ‘’რესტორანი’’.

ასაშენებელი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით; შენობა ეფუძნება დგარი ხიმინჯების გამოყენებით ძირითად ქანს. ხიმინჯები ერთმანეთთან დაკავშირებულია ფილა-როსტვერკით. შენობის საძირკვლისზედა მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს სხვადასხვა სისქისა და განივკვეთის ზომების რკიბანეტონის სვეტები, დიაფრაგმები, რიგელები, სართულშუა გადახურვები. შენობის სახურავი ელიფსური ფორმისაა და მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენს ლითონის ფერმები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთიან სივცულ სტრუქტურას.

ძირითადი ნაწილი

საპროექტო შენობა მიწის ზემოთ 5-სართულიანია (ერთი მიწის დონის ქვედა სართულით) და მოიცავს თავშეყრის, საოფისე, სავაჭრო, სასაწყობო და დამხმარე ფართებს. საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში შეიცავს **„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“** დადგენილებასთან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) შენობების ბლოკები (თავი 3)
2) მისაწვდომი სვლაგეზები (თავი 4);
3) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (თავი 5);
4) წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (თავი 6);
5) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (თავი 7);
6) სპეციალური ოთახები და სივრცეები (თავი 8).
7) ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები (თავი 9).

1) შენობების ბლოკები.

შენობის სართულებზე მოწყობილი იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა მასალით მოპირკეთებული და შეესაბამება **302** და **303 ქვეთავების** მოთხოვნებს.

მისაწვდომ სივრცეში გათვალისწინებულია თავისუფალი გასავლელები, რომლის სიგანე აკმაყოფილებს **T**-ს ფორმის (არაუმცირეს 1600 მმ სიგანის და 1500 მმ სიღრმის) და **წრიული** ფორმის (არაუმცირეს 1700 მმ დიამეტრის) მოსატრიალებელი სივრცეებისთვის განსაზღვრულ ზომას, **304 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად.

იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივრცეში აკმაყოფილებს **305.3.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის ყველა მოწყობილობასთან აკმაყოფილებს **306 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მიმოსვლის ბილიკებზე გამოშვერილი საგნები პროექტით არ არის გათვალისწინებული.

<u>მისაწვდომობის დიაპაზონი და ელემენტების სამართავები შეესაბამება **308** და **309 ქვეთავების** მოთხოვნებს</u>.

2) მისაწვდომი სვლაგეზები.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები მოწყობილია დონეთა ცვლილების გარეშე უწყვეტად საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე.

მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობაში არის **900 მმ**, ხოლო შენობის გარეთ **1200 მმ**, რაც აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გზა-კარი აკმაყოფილებს მოთხოვნებს თავისუფალი სიგანის და კართან მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცის მიმართ, **404 ქვეთავის** შესაბამისად.

404.2.2 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით, გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს **820 მმ** სიგანის. საპროექტო შენობაში შესასვლელი გზა-კარები და ასევე, ყველა კარი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია (მინიმალური გაბარიტული ზომებით **820X2050 მმ**), აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **404 ქვეთავის** მოთხოვნებს.

404.2.3.2 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, თავისუფალი სივრცის ზომა ანჯამიანი კარის პერპედიკულარულად საკეტის ნაწილის მიღმა, იმ მხრიდან საიდანაც კარი იღება, გამოწევით **1500 მმ**-ია, ხოლო იმ მხრიდან სადანაც კარი იღება მიწოლით – **1300 მმ**.

გზა-კარების ზღურბლი არ აღემატება დასაშვებ 13 მმ-ს, **404.2.4 ქვეთავის** შესაბამისად.

სართულებზე გადასაადგილებლად მოწყობილია 3 ლიფტი, კაბინის შიგა ზომებით 1400X2400მმ, რომელიც შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს **407.4.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

<u>მისაწვდომი და შენობის ზოგადი სვლაგეზები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს.</u>

3) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები

პროექტის მიხედვით ავტოსადგომში (-4.50 ნიშნულზე) შშმ პირისთვის გათვალისწინებულია სამი საავტომობილო სივრცე, 2500 მმ სიგანის და 1500 მმ მისაწვდომი გასავლელით, **502 ქვეთავის** შესაბამისად. ავტოსადგომზე მისაწვდომი სვლაგეზი შეესაბამება **507 ქვეთავის** მოთხოვნას.

შენობაში მოწყობილია სამი ძირითადი შიგა გზა-კიბე, რომელიც შეესაბამება **504 ქვეთავის** მოთხოვნას. გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1200 მმ-ია. კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები (180 მმ) და თანაბარი სიღრმის საბიჯელები (290 მმ). გზა-კიბეებს სახელურები ორივე მხარეს აქვს, **505 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად. შიგა გზა-კიბის განათება შეესაბამება სტანდარტების **504.9 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კიბის უჯრედში მოწყობილია თავშესაფარი სივრცე ზომებით 76სმX130სმ.

<u>ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები მისაწვდომია და შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს</u>.

4) წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები.

საპროექტო შენობის მთელ სივრცეებში მოწყობილია სასმელი წყლის დისპენსერები, რომელთა წინ დატოვებულია იატაკის თავისუფალი სივრცე, **306 ქვეთავის** შესაბამისად. იატაკის თავისუფალი სივრცე სასმელი წყლის დისპენსერის (ან შადრევნის) მიმართ ცენტრალურად უნდა მდებარეობდეს, **602.2.1 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით.

შენობაში მოწყობილია ინდივიდუალური ერთადგილიანი მისაწვდომი ტუალეტის ოთახები „ა“ ტიპის ერთეულის შესაბამისი სველი წერტილებით, რომლებიც აკმაყოფილებს „სტანდარტების“ მე-**6 თავის** მოთხოვნებს, კერძოდ, გათვალისწინებულია რეგლამენტირებული თავისუფალი სივრცე უნიტაზის და ხელსაბანის ნაკვეთურებთან, ასევე, **T**-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, როგორც ტუალეტის ოთახებში, ისე სველ წერტილში შესასვლელ კართან და კარის სუფთა ღიობის ზომები „სტანდარტების“ **304** და **404 ქვეთავების** შესაბამისად.

<u>საპროექტო შენობაში წარმოდგენილი წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მე-6 თავის მოთხოვნებს.</u>

5) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მიხედვით, შეესაბამება **მე-7 თავის** მოთხოვნებს, კერძოდ:

განგაში;
ნიშნები;
ამოცნობადი გამაფრთხილებლები;
მოსმენის დამხმარე სისტემები;
ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემები.

702.1 ქვეთავის თანახმად, ხმოვანი და ვიზუალური განგაშისა და შეტყობინების მოწყობილობები, რომლებიც შენობის სახანძრო განგაშის სისტემის ნაწილს შეადგენენ უნდა დააყენონ 106.2.4 ქვეთავში მითითებული NFPA-72-ის შესაბამისად, ელექტროენერგია უნდა მიეწოდებოდეს კომერციული განათების და ელექტროენერგიის წყაროდან, მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ელექტროსისტემასთან.

703.1 ქვეთავის თანახმად, სადაც მოითხოვება ვიზუალური და ამობურცული სიმბოლოები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ერთი ნიშანი, როგორც ვიზუალური, ასევე ამობურცული სიმბოლოებით.

ვიზუალური სიმბოლოები არ უნდა დაიწეროს დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით. სიმბოლოს უმცირესი სიმაღლე 200 მმ უნდა იყოს, იატაკიდან, არაუმცირეს, 1000 მმ სიმაღლეზე უნდა განთავსდეს.

704.2 ქვეთავის თანახმად, ეტლში მჯდომისთვის მისაწვდომი საზოგადოებრივი მოხმარების ტელეფონი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი სივრცით.
საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მე-7 თავის მოთხოვნებს.

6) სპეციალური ოთახები და სივრცეები

პროექტის მიხედვით შენობაში განთავსებულ თავშეყრის, საოფისე, სავაჭრო და სასაწყობო სივრცეებში შესაძლებელია გადაადგილება შეუფერხებლად, ხოლო სივრცეში ინვენტარის განთავსება გათვალისწინებულია ისე, რომ მასთან მისადგომი თავისუფალი გასავლელის ზომები აკმაყოფილებს **804 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს.

7) ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

საპროექტო შენობის ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები მისაწვდომია და აკმაყოფილებს **მე-9 თავის** მოთხოვნებს, კერძოდ, მისაწვდომი სასადილო და სამუშო ზედაპირები შეესაბამება **902 ქვეთავს.** მისაწვდომი სათავსო სივრცეები შეესაბამება **905 ქვეთავს.**

<u>საცხოვრებელი ერთეულები მისაწვდომია და აკმაყოფილებს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს</u>.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე

22.06.2022 წ.







დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შვილს ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ს.ს.ფედერაციის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
ამავე ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქ თბილისი 1987 წ. „28“ X
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский гп.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „28“ X 1987 г.
Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი"-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი". **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2021 წ - დან ტექნიკური რეგლამენტი **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი"**-სთან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი